

თავი IV

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

სახელმწიფო ბიუჯეტის 2015 წლის 6 თვის შესრულების მაჩვენებლებიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში მთლიანი სალდო განისაზღვრა (-17 419.2) ათასი ლარის ოდენობით.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 537 758.6 ათასი ლარის ოდენობით.
2. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 576 502.0 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების ზრდა	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტიური შესრულება
	205,895.7	576,502.0*
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	389,128.7
სესხები	75,345.0	67,992.5
აქციები და სხვა კაპიტალი	130,550.7	119,380.8

*ვალუტა და დეპოზიტებში 389 128.7 ათასი ლარი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში ნაშთის დაგროვებას. გამომდინარე იქიდან, რომ 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 434 415.1 ათასი ლარი, თავისუფალი საბრუნავი სახსრების ოდენობა 2015 წლის 1 ივლისისათვის განისაზღვრა 823 543.7 ათასი ლარით (მათ შორის, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში ვადიან დეპოზიტებზე განთავსებული 99 996.0 ათასი ლარი).

3. ფინანსური აქტივების კლებამ შეადგინა 38 743.3 ათასი ლარი.

ათას ლარებში

ფინანსური აქტივების კლება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტიური შესრულება
	70,987.6	38,743.3
ვალუტა და დეპოზიტები	37,587.6	0.0
სესხები	33,400.0	38,739.9
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	3.4

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვრა 555 177.8 ათასი ლარის ოდენობით.

2. ვალდებულებების ზრდამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 791 391.1 ათასი ლარი, მათ შორის:

- 295 092.4 ათასი ლარი - საშინაო ფასიანი ქაღალდების გამოშვებით წმინდა ზრდა;
- 202 476.5 ათასი ლარი - საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან და სხვა სახელმწიფოების მთავრობებისგან მიღებული საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები;
- 293 822.2 ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები.

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტიური შესრულება
	784,513.0	791,391.1
საშინაო	300,000.0	295,092.4
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	300,000.0	295,092.4
საგარეო	484,513.0	496,298.7
სესხები	484,513.0	496,298.7

ათას ლარებში

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
ბიუჯეტის მხარდამჭერის კრედიტები	293,822.2
WB	269,085.6
EU	24,736.6
საინვესტიციო, შეღავათიანი კრედიტები	202,476.5
IFAD	3,279.9
WB	56,084.1
EBRD	5,864.0
ADB	74,037.2
EIB	16,462.4
საფრანგეთი	5,366.5
იაპონია	36,523.8
გერმანია	4,858.7
სულ კრედიტები	496,298.7

2015 წლის 6 თვის განმავლობაში ჩატარდა ფასიანი ქაღალდების 22 აუქციონი, რომლებზეც რეალიზებული იყო სახაზინო ვალდებულება და სახაზინო ობლიგაცია 624 996.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულებით, საიდანაც 46.4% იყო 12 თვის ვადიანობის მქონე სახაზინო ვალდებულებები, 29.6% იყო 2 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები, 20.8% იყო 5 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები და 3.2% - 10 წლის ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები.

საანგარიშო პერიოდში ფასიანი ქაღალდების რეალიზაციით ბიუჯეტში მიღებულმა თანხამ შეადგინა 604 001.3 ათასი ლარი, მათ შორის ნომინალს ზევით გადახდილმა თანხამ 288.8 ათასი ლარი. ამავ პერიოდში დაფარულ იქნა 324 200.0 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები და ობლიგაციები, მათ შორის ძირითადი თანხის დაფარვამ შეადგინა 308 908.9 ათასი ლარი, ხოლო დისკონტის თანხამ 15 291.1 ათასი ლარი.

2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საშინაო ვალდებულების წმინდა ზრდამ ძირითადი თანხის მიხედვით შეადგინა 295 092.4 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი პარამეტრის 98.4 %-ს შეადგენს. „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის N29 განკარგულებით განისაზღვრა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობის მექანიზმისთვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვების, მიმოქცევის, აღრიცხვის, დაფარვის და მიღებული ფულადი სახსრების განთავსების წესი. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მექანიზმისთვის 2015 წლის 6 თვეში დაგეგმილი 100 000.0 ათასი ლარის ემისიიდან, საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 99 996.0 ათასი ლარი შეადგინა. ეს თანხა სრულად განთავსდა ვადიანი დეპოზიტის სახით, სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკებში, ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისად, კუპონის განაკვეთს დამატებული 1 საპროცენტო პუნქტი.

2015 წლის 6 თვის განმავლობაში გამოშვებული და დაფარული სახაზინო ვალდებულებები და სახაზინო ობლიგაციები

ათას ლარებში

თვე	ფასიანი ქაღალდების ემისია (ნომინალური ღირებულებით)		ფასიანი ქაღალდების დაფარვა (ნომინალური ღირებულებით)	სხვაობა ფასიანი ქაღალდების ემისიას და დაფარვას შორის	ვალდებულებების წმინდა ზრდა
	მთლიანად	მ. შ. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის თვის			
იანვარი	174,998.0	49,998.0	90,000.0	84,998.0	84,817.8
თებერვალი	149,998.0	49,998.0	59,200.0	90,798.0	91,304.6
მარტი	80,000.0		55,000.0	25,000.0	22,454.6
აპრილი	85,000.0		60,000.0	25,000.0	25,816.3
მაისი	85,000.0		60,000.0	25,000.0	23,177.4
ივნისი	50,000.0		0.0	50,000.0	47,521.7
სულ	624,996.0	99,996.0	324,200.0	300,796.0	295,092.4

3. ვალდებულებების კლება 236 213.3 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა.

ათას ლარებში

ვალდებულებების კლება	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტიური შესრულება
		238,043.0
საშინაო	24,424.6	24,523.5
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	15,000.0	15,000.0

ვალდებულებების კლავა	6 თვის დაზუსტებული გეგმა	6 თვის ფაქტიური შესრულება
სესხები	1,192.3	1,192.1
სხვა კრედიტორული დავალიანებები	8,232.3	8,331.4
საგარეო	213,618.4	211,689.7
სესხები	212,700.0	210,790.3
სხვა კრედიტორული დავალიანებები	918.4	899.4

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალმა შეადგინა 12 227 038.9 ათასი ლარი, მათ შორის:

- ✓ სახელმწიფო საშინაო ვალი შეადგენს 2 828 006.1 ათას ლარს, მათ შორის: ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სებ-ისთვის“) – 400 846.0 ათასი ლარი, სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 157 000.0 ათას ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 390 717.7 ათასი ლარი, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 1 207 117.4 ათასი ლარი, სხვა სავალო ვალდებულებები (ე.წ. „ისტორიული ვალი“) - 672 325.0 ათასი ლარი;
- ✓ სახელმწიფო საგარეო ვალმა შეადგინა 9 399 032.8 ათასი ლარი.

ათას ლარებში

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
სულ საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი	9,399,032.8
მთავრობის საგარეო ვალი	9,332,631.1
მრავალმხრივი კრედიტორები	6,612,600.1
მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)	2,777,751.2
მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)	1,387,494.9
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)	64,735.6
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	272,721.3
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)	193,891.9
აზიის განვითარების ბანკი (ADB)	1,385,825.4
ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)	505,187.8
ევროგაერთიანება (EU)	24,992.0
ორმხრივი კრედიტორები	1,590,808.0
ავსტრია	27,316.3
აზერბაიჯანი	24,981.4
თურქმენეთი	474.6
თურქეთი	47,802.4
ირანი	19,436.3

კრედიტორი	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალის მოცულობა 2015 წლის 30 ივნისის მდგომარეობით
რუსეთი	203,366.0
სომხეთი	29,197.2
უზბეკეთი	576.2
უკრაინა	526.2
ყაზახეთი	62,444.3
ჩინეთი	7,604.9
გერმანია	596,792.1
იაპონია	339,210.7
კუვეიტი	38,244.5
ნიდერლანდები	3,131.4
ამერიკა	64,976.2
საფრანგეთი	124,727.5
ფასიანი ქაღალდები	1,124,150.0
ევროობლიგაცია	1,124,150.0
გარანტირებული კრედიტები	5,072.9
გერმანია	5,072.9
საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი	66,401.7
საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)	66,401.7